



ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 02

2020 წელი 28 თებერვალი

ქ. ბაღდათი

10.00 საათი

2020 წლის 28 თებერვალს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

სხდომას ესწრებოდა: შალვა მშვილდაძე, ნოდარ გიორგიძე, ირინა ტყემელაშვილი, მურადი ბურჯანაძე, მამუკა გორგოძე, გრიგოლ ტაბეშაძე, ფრიდონ მაჩიტაძე, გია სახამბერიძე, სიმონ ჭოლოკავა, თემურ მინაძე, კობა მშვილდაძე, შალვა დათუაძე, მკა მესხი, დიომიდე კიკნაველიძე, ტარიელ ჩაკვეტაძე, ზაზა ზივზივაძე, გაბრიელ ღებრაძე, თეონა ფახურიძე, გურამი ჩხეიძე, ვლადიმერ წიქორიძე, რუსუდან გეწაძე, გიორგი რობაქიძე, შადიმან გორგოძე, გურამი კიკნაველიძე, ირაკლი გოგსაძე, გვანცა გრძელიძე, მაია კბილაშვილი.

საკრებულოს წევრები: სულ 27 წევრი.

არ ესწრებოდა საკრებულოს წევრები: ალექსი ლომინაშვილი, თორნიკე გაჩეჩილაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

მუნიციპალიტეტის მერი - არჩილ გოგსაძე

ლერი გუმბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი
ანტონ ქარაბაკი - მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი

საკრებულოს აპარატის უფროსი ნოდარ ებანოიძე და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები საინფორმაციო სამსახურის წარმომადგენლები.

მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეები: დიმიტრი ჩიხლაძე და დავით მახარეიშვილი სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა შალვა მშვილდაძე - საკრებულოს თავმჯდომარე.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27 წევრმა, დაესწრო 27 საკრებულოს წევრი. შ. მშვილდაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ლერი გუმბერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ“.

მომხს. ანტონ ქარაბაკი-მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. შალვა მშვილდაძე- საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები.

სხდომის თავმჯდომარის წინადადებით პირველ საკითხად გადმოტანილი იქნა მე-3 საკითხი: „მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ“.

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

დღის წესრიგი

დღის წესრიგი მიღებული იქნა ერთხმად.

მომხრე - 27 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

საკრებულოს მიერ 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში სხდომაზე წარმოადგინა შალვა მშვილდაძემ - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ. საკრებულოს კომისიათა ანგარიში წარმოადგინეს კომისიის თავმჯდომარეებმა: გვანცა გრძელიძემ, ირინა ტყეშელაშვილმა, გია სახამბერიძემ, სიმონ ჭოლოკავამ, გურამი კიკნაველიძემ.

აზრი გამოთქვეს: შალვა დათუაძემ, მაია კბილაშვილმა, ფრიდონ მაჩიტაძემ, მამუკა გორგოძემ, გაბრიელ ღიბრაძემ

შ. მშვილდაძემ უპასუხა საკრებულოს წევრების მიერ დასმულ კითხვებს

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეების ანგარიშები 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ მიღებული იქნა ცნობად. საკრებულოს განკარგულება N 42 4 28.02.2020 წ. (განკარგულება თან ერთვის).

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ლერი გუმბერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი- მან ისაუბრა იმ ცვლილებების თაობაზე, რომელიც 2019 წლის ბიუჯეტის დაზუსტების შემდგომ უნდა შესულიყო 2020 წლის ბიუჯეტში.

საკრებულოს კომისიის დასკვნა ბიუჯეტის ცვლილებებთან დაკავშირებით, სხდომას გააცნო საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - გურამ კიკნაველიძემ.

საკრებულოს სხდომა ადგენს:

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 4 28.02.2020 წ. (დადგენილება თან ერთვის)

მომხრე - 27 წინააღმდეგი - 0 ;

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 27-მა წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ“.

ანტონ ქარაბაკი-მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

საკრებულოს კომისიის დასკვნა ბიუჯეტის ცვლილებებთან დაკავშირებით, სხდომას გააცნო საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - გურამ კიკნაველიძემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 5 28.02.2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

მომხრე - 23 წინააღმდეგი - 0;

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 23-მა წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე:

შალვა მშვილდაძე